ევროკავშირი-საქართველოს სავაჭრო-ეკონომიკური ურთიერთობების ემპირიული კვლევის შედეგები

ნინო გელიაშვილი
სტუ-ს დოქტორანტი

აბსტრაქტი

სტატიაში - **„ევროკავშირი-საქართველოს სავაჭრო-ეკონომიკური ურთიერთობების ემპირიული კვლევის შედეგები“** - წარმოდგენილია ევროკავშირთან ურთიერთობის საკითხზე საქართველოს მოსახლეობის გამოკითხვის შედეგები. გამოკითხვა ჩატარდა 3 ფოკუს-ჯგუფში: 1. კომპანიის მენეჯერები; 2. მოსახლეობა; 3. ექსპერტები. კვლევის მეთოდი - რაოდენობრივი, კვლევის ტექნიკა-ანკეტირება, რესპოდენტების შერჩევა -შემთხვევითი.

კვლევა ჩატარდა ექვს ეტაპად. მეოთხე ეტაპზე პრაქტიკულად ჩატარდა კვლევა, მეხუთე ეტაპზე კი, ავტორის მიერ შეფასდა კვლევით მიღებული რესპოდენტთა პასუხები.

მრავალ კითხვაზე რესპოდენტებს ურთიერთგანსხვავებული პასუხები აქვთ. ისინი ერთნი არიან იმაში, რომ ევროკავშირიდან სურსათის იმპორტი საჭიროა ჩანაცვლდეს ადგილობრივი წარმოებით და კიდევ იმაში, რომ საქართველოდან ევროკავშირში განხორციელებულ საექსპორტო ნაკადებში ჩაირთოს ქართული, ტრადიციული, აბორიგენული ჯიშის ხილ-ბოსტნეული.

საკვანძო სიტყვები: კვლევის შედეგები; რესპოდენტები; ფოკუს-ჯგუფები; ანკეტირება; ინტერვიურება.

RESULTS OF AN EMPIRICAL STUDY OF EU-GEORGIA TRADE AND ECONOMIC RELATIONS

Nino Geliashvili
PhD Student at Technical

ABSTRACT

The article – **“Results of an Empirical Study of Trade and Economic Relations between the EU and Georgia”** - discusses the results of a survey of the Georgian population on the issue of relations with the European Union. The survey was conducted with 3 focus groups: 1. Company managers; 2. Population; 3. Experts. The research method - quantitative, the research methodology - questionnaires, and the selection of respondents - random.

The study was carried out in six stages. At the fourth stage, practical research was carried out, and at the fifth stage, the author assessed the respondents’ answers obtained as a result of the study.

Respondents give different answers to many questions. They agree that food imports from the European Union should be replaced by local production and that Georgian, traditional, indigenous varieties of fruit and vegetables should be included in export flows from Georgia to the European Union.

Keywords: research results; respondents; focus groups; questionnaire; interviewing

შესავალი

მსოფლიოში არ არის ქვეყანა, რომელიც არ იყოს ჩართული საგარეო-ეკონომიკურ კავშირებში. ასეთი ქვეყანაა საქართველოც. მას მსოფლიოს უმრავლეს ქვეყნებთან აქვს სავაჭრო-ეკონომიკური კავშირი. მათ შორის გამორჩეულია ევროკავშირი-საქართველოს სავაჭრო ურთიერთობები, რომელიც 2014 წლის სპეციალური ასოცირების შეთანხმებით არის განმტკიცებული.

ქვეყნებს შორის სავაჭრო ურთიერთობა ორივე მხარისთვის უნდა იყოს სასარგებლო და მოსახლეობა ამ სარგებლით უნდა იყოს კმაყოფილი. ამის გარკვევა ხდება სპეციალური გამოკვლევით. წინამდებარე სტატიაში ასეთი კვლევის შედეგებზეა საუბარი.

ძირითადი ტექსტი

აღნიშნული კვლევა ჩავატარეთ საქართველოს კომპანიების მენეჯერებში, მოსახლეობაში და ექსპერტებში. კვლევაში ჩაერთო 10 კომპანიის მენეჯერი, 4 ექსპერტი და 395 რიგითი მოქალაქე. კვლევა ჩავატარეთ 2022 წელს. კვლევის მეთოდოლოგიის შესაბამისად ავარჩიეთ:

კვლევის მეთოდი: რაოდენობრივი.

კვლევის ტექნიკა: ანკეტირება-ინტერვიურება (როგორც პირადად, ისე სატელეფონო და ონლაინ-რეჟიმით).

სამიზნე ჯგუფები: პირველი ჯგუფი - კომპანიების მენეჯერები. **მეორე ჯგუფი** - მოსახლეობა. **მესამე ჯგუფი** - ექსპერტები.

კომპანიების მენეჯერების რეპრეზენტალული ამონარჩევი: კომპანიების რეპრეზენტატული ამონარჩევის ფორმირების მიზნით გამოყენებული იქნა კლასტერული ამონარჩევი (Claster Sampling). ამორჩეული კომპანიები ან აგროფირმები არიან, ანდა, მათი პროდუქტების გადამამუშავებლები. ისინი ერთი აგრო-სამრეწველო კლასტერულ ჯაჭვში არიან ჩართულნი.

მოსახლეობის რეპრეზენტატული ამონარჩევი:

მოსახლეობის რეპრეზენტატული ამონარჩევის ფორმირების მიზნით ამონარჩევის რაოდენობა დადგენილი იქნა Sampling Size Catewlaten-ის მეშვეობით. გენერალური ერთობლიობა U=20 000, დამაჯერებლობის ალბათობა p=0.95, დასაშვები ცთომილების ინტერვალი e=5%, მოსახლეობიდან რესპოდენტების ამონარჩევის სიდიდე 395 ადამიანი.

ექსპერტების რეპრეზენტატული ამონარჩევი: შემთხვევითი შერჩევით აირჩა 4 ადამიანი.

კვლევა ჩავატარეთ ექვს ეტაპად: 1. გადასაჭრელი პრობლემის განსაზღვრა. 2. საკვლევი ობიექტების შერჩევა. 3. საკვლევი სქემის აგება. 4. კვლევის პრაქტიკული ჩატარება. 5. კვლევის შედეგების ანალიზი და შეფასება. 6. კვლევის ტექსტის გაფორმება.

კვლევა დავიწყეთ საკვლევი პრობლემის განსაზღვრით. მისი არსი ევროკავშირთან სავაჭრო-ეკონომიკური ურთიერთობების მდგომარეობის დახასიათებაში გამოიხატებოდა.

კვლევის ობიექტებში მოხვდნენ საქართველოს აგრო-სამრეწველო კომპლექსის სხვადასხვა კომპანიების მენეჯერები. ისინი შემთხვევითი შერჩევის მეთოდით შეირჩნენ. ისინი ღვინის, თხილის, მინერალური წყლის, ლუდის და სხვა სასურსათო პროდუქტების მწარმოებელი კომპანიები არიან. თითოეული სამიზნე ჯგუფი გამოიკითხა ურთიერთგანსხვავებული კითხვარებით.

კვლევაში ჩართული 10 კომპანიის მენეჯერებისთვის დასმულ შეკითხვებზე მივიღეთ შემდეგი პასუხები **(იხ. ცხრილი 1):** საქართველოს საექსპორტო-საიმპორტო პოლიტიკით მენეჯერთა მხოლოდ 40%-ია კმაყოფილი, ევროკავშირში საქართველოდან ექსპორტის ზრდა მენეჯერთა 70%-ს სწორ პრიორიტეტად აქვთ მიჩნეული, 80%-ს მიაჩნია, რომ საქართველოდან საექსპორტოდ უნდა გადიოდეს მხოლოდ მზაპროდუქცია და არა ნედლეული, 60%-ს მიაჩნია, რომ ევროკავშირში საექსპორტოდ პრიორიტეტი უნდა გახდეს ქართული ჯიშების ხილ-ბისტნეული და ხორცეული, 50% მიიჩნევს, რომ საქართველომ ევროპის ბაზარზე უნდა გახსნას ქა-

ცხრილი 1.

საქართველოს კომპანიებიდან კვლევაში ჩართულ მენეჯერების შეხედულებათა შეჯამებული შეფასება საქართველო-ევროკავშირის ურთიერთობების საკითხებზე

დასმული კითხვები	გამოკითხულთა საერთო რაოდენობა - 10	
	სიხშირე (რ-ბა)	პროცენტი (ხვ. წილი)
1. რამდენად კმაყოფილი ხართ საქართველოს საექსპორტო-საიმპორტო პოლიტიკით?		
✓ სრულიად კმაყოფილი	4	40
✓ სრულიად არაკმაყოფილი	1	10
✓ ნაწილობრივ კმაყოფილი	2	20
✓ უარი პასუხზე (არ ფლობს ინფორმაციას)	3	30
2. რამდენად აქტიურები არიან საქართველოს ექსპორტიორი კომპანიები ევროკავშირის ბაზარზე?		
✓ ძალიან აქტიურები არიან	-	-
✓ საშუალოდ აქტიურები არიან	10	100
✓ არ არიან აქტიურები	-	-
✓ უარი პასუხზე (არ ფლობს ინფორმაციას)	-	-
3. როგორ ფიქრობთ ექსპორტ-იმპორტის ზრდა ევროკავშირში სწორი პრიორიტეტია საქართველოსთვის?		
✓ კი	7	70
✓ არა. აჯობებს მეზობელ ქვეყნებთან ექსპორტი (თურქეთი, რუსეთი)	2	20
✓ უარი პასუხზე	1	10
4. რა აჯობებს საქართველოსთვის ნედლეული გაჰქონდეს ექსპორტზე თუ მზა პროდუქცია?		
✓ მზაპროდუქცია	8	50
✓ მზაპოდუქციაც და ნედლეულიც	2	50
✓ უარი პასუხზე	-	-
5. ევროკავშირში ექსპორტის წასახალისებლად რომელი ფაქტორების ამოქმედება მიგაჩნიათ საჭიროდ?		

✓ ექსპორტიორებისთვის იაფი კრედიტის მიცემა	4	40
✓ საექსპორტო ზარალის სრული დაფარვისთვის სპეციალური დაზღვევის სისტემის ფორმირება	3	30
✓ ევროპის ბაზარზე საელჩოების მეშვეობით ქართულ საექსპორტო პროდუქციის უწყვეტი რეკლამირება	3	30
6. საქართველოს რომელი პროდუქცია მიგაჩნით ევროკავშირში საექსპორტოდ პრიორიტეტული?		
✓ ქართული ჯიშების ხილ-ბოსტნეული	6	60
✓ ქართული ჯიშების ხორცეული (ქათამი, ღორი)	2	20
✓ ქართული სამზარეულოს კერძები	-	-
✓ ქართული შემოქმედებითი ნიმუშები	2	20
7. ევროკავშირთან ასოცირების შეთანხმების გაფორმებამ წაახალისა ექსპორტი საქართველოდან?		
✓ კი	5	50
✓ უმნიშვნელოდ	5	50
✓ უარი პასუხზე (არ ფლობს ინფორმაციას)	-	-
8. ერთი და იგივე საქონლის ექსპორტის არჩევანი რომ გქონდეთ, ჩინეთსა და ევროკავშირში რომელს აირჩევდით?		
✓ ჩინეთს	5	50
✓ ევროკავშირს	5	50
✓ უარი პასუხზე	-	-
9. როგორ შეუძლიათ ქართველ ექსპორტიორებს აიმაღლონ კონკურენტუნარიანობა ევროკავშირის ბაზარზე?		
✓ გახსნან ქართული აბორიგენული ჯიშების პროდუქციის (ჭოპორტის პომიდორი, მუხრანის კიტრი და სხვა) სეგმენტი	5	50
✓ გაიტანონ ბაზარზე მხოლოდ ბიოლოგიურად სუფთა პროდუქტი	5	50
10. თქვენი აზრით, მომავალში საქართველოდან ექსპორტი ევროკავშირში გაიზრდება თუ სხვა გეოგრაფიულ სივრცეებში?		
✓ ევროკავშირში	6	60
✓ რუსეთში	3	30
✓ აზიის ქვეყნებში და თურქეთსი	1	10
11. თანახმა ხართ იმპორტის შემცირებაზე ევროკავშირიდან?		
კი	8	80
არა	2	20
უარი პასუხზე	-	-
12. იმპორტის შემცირება რას მოუტანს საქართველოს?		
✓ გაძვირდება საქართველოს სამომხმარებლო ბაზარი	10	100
✓ გაუარესდება ურთიერთობა ევროკავშირის ხელმძღვანელობასთან	-	-
✓ ევროკავშირი შეამცირებს საქართველოდან ექსპორტის ქვოტებს	-	-

წყარო: შედგენილია ავტორის მიერ

რთული სასოფლო პროდუქციის აბორიგენული ჯიშების სეგმენტი (ქართული ჯიშის ქათამი, ჭოპორტული პომიდორი და სხვა), მენეჯერთა 80% ითხოვს იმპორტის შემცირებას. ასეთ დროს, გამოკითხულ მენეჯერთა 100% აცხადებს, რომ ასეთ შემთხვევაში საქართველოს შიდა სამომხმარებლო ბაზარი გაძვირდება, რაც მეტად დააზარალებს საქართველოს ისედაც ღარიბ მოსახლეობას. იმპორტის შემცირება საქართველოსთვის მართლაც დიდი პრობლემაა. ჯერ ერთი, იმიტომ, რომ საქართველო ვერ ჩაანაცვლებს ევროკავშირიდან იმპორტირებულ ყველა პროდუქტს და, მეორე, იმას რასაც ნაწილობრივ დღესდღეობით ანაცვლებს, ისიც არის გაცილებით მაღალი ფასის, ვიდრე ევროპიდან იმპორტირებული.

როდესაც კვლევაში ჩართულ მენეჯერთა 80%-მა მხარი დაუჭირა ევროკავშირიდან იმპორტის შემცირებას, მათ ეს აზრი დაადასტურეს ძირითადად, პირველი მოთხოვნის საქონელზე, რომელთა წარმოების პროტენციალი საქართველოს აქვს. მათვე განაცხადეს. რომ ისეთი საქონელი, რომელსაც საქართველოს ვერასოდეს დაამზადებს (მაგალითად, მანქანები), კვლევაც უნდა შემოვიდეს ევროპიდან.

2022 წლის მაის-ივნისში მგავსი გამოკითხვა

ჩავატარეთ მოსახლეობაში. ამ საკვლევ ფოკუს-ჯგუფში მოხვდნენ სტუდენტებიც, პენსიონრებიც და სხვა სტატუსის მოსახლეობაც. კვლევა ჩატარდა საველე პირობებში, ე. წ. „ერთი-ერთზე“ პრინციპით. მოსახლეობასთან ჩატარებული კვლევის შედეგები წარმოდგენილი გვაქვს ცხრილში 2. მისით ირკვევა, რომ გამოკითხული 395 ადამიანებიდან 47% არ არის კმაყოფილი საქართველოს საგარეო ვაჭრობის პოლიტიკით ევროკავშირთან, 61%-ს არ მოსწონს იმპორტის პოლიტიკა, 75% აცხადებს, რომ საქართველოს თავისუფლად შეუძლია ჩაანაცვლოს სოფლის მეურნეობის ყველა ძირითადი პროდუქტის იმპორტი, საქართველოს უმუშევარი მოსახლეობის დასაქმებას ევროკავშირში სეზონურ სამუშაოებზე 27% აფასებს უარყოფითად, ტურისტთა ნაკადის ზრდას ევროკავშირიდან საქართველოში ნაწილობრივ ცუდ შეფასებას აძლევს გამოკითხულთა 46,5%, ევროკავშირთან საქართველოს ურთიერთობების საკითხს რესპოტენდთა 52,2% კანდიდატის სტატუსის მიღებას უკავშირებს, არა ევროკავშირთან, არამედ, რუსეთსა და მეზობელ აზიის ქვეყნებთან სავაჭრო-ეკონომიკური ურთიერთობის გაფართოების მომხრეა რესპოდენტთა 51,5% და ა. შ. **(იხ. ცხრილი 2).**

დასახელებულ საკითხზე კვლევა ჩავატარეთ 4 ექსპერტთანაც, ე. წ. „დელფოსის (Delphi) მეთოდით“. როგორც წესი, დელფოსის პროცედურა ექსპერტებთან 3-4 გამოკითხვის ჩატარებას მოითხოვს [ბაღათურია გ., თუთბერიძე გ. 2000]. ეს საჭიროა იმისთვის, რომ მათი დამოუკიდებლად ნააზრევი პასუხები ერთმანეთს დაუახლოვდეს. მოცემულ კვლევაში ჩვენ შერჩეული ექსპერტების გამოკითხვა მხოლოდ ერთხელ შევძელით (მათ მეტი ვერ მოიცალეს ამ საკითხზე სამუშაოდ). „დელფოსის მეთოდის“ ძირითადი ამოცანა არის ექსპერტების შეხედულებების დაახლოვება, რომ საბოლოო დასკვნის სანდოობა ამაღლდეს. როდესაც ექსპერტები სხვადასხვა ქვეყნებიდან არიან, მათი შეხედულებები ამა თუ იმ საკითხზე მართლაც ძლიერ

ცხრილი 2.

კვლევაში ჩართულ მოსახლეობის შეხედულებათა შემაჯამებელი შეფასება ევროკავშირთან საქართველოს სავაჭრო-ეკონომიკურ თანამშრომლობის კუთხით

დასმული კითხვები	**გამოკითხულთა რაოდენობა 395 ადამიანი**	
	სიხშირე (რაოდ.)	**პროცენტი (ხვ. წონა)**
1. თუ იცნობთ ევროკავშირთან საქართველოს საგარეო-სავაჭრო პოლიტიკას და რამდენად კმაყოფილი ხართ მისით?		
ა) ვიცნობთ და კმაყოფილი ვართ	132	33
ბ) ვიცნობთ და არ ვართ კმაყოფილი	185	47
გ) არ ვიცნობთ	78	20
2. რა არ მოგწონთ საქართველოს საგარეო-სავაჭრო პოლიტიკაში, იმპორტის პოლიტიკა თუ ექსპორტის პოლიტიკა?		
ა) იმპორტის პოლიტიკა	243	61
ბ) ექსპორტის პოლიტიკა	44	11
გ) ორივე ერთად	108	28
3. როგორ აფასებთ ევროკავშირის ქვეყნებში სეზონურ სამუშაოებზე საქართველოს უმუშევარი მოსახლეობის დასაქმება?		
ა) უარყოფითად	108	27
ბ) დადებითად	195	50
გ) არ აქვთ პასუხი	92	23
4. თქვენი აზრით, ევროკავშირიდან რომელი საქონლის იმპორტის ჩანაცვლება შეუძლიათ ქართველ მეწარმეებს?		
ა) სოფლის მეურნეობის ყველა ძირითადი სახის პროდუქციის	297	75
ბ) კვების მრეწველობის ყველა ძირითადი პროდუქციის	98	25
5. თქვენ რომ მეწარმე იყოთ, სად აირჩევდით თქვენი პროდუქციის გატანას - თურქეთში და ირანში თუ ევროკავშირში?		
ა) ევროკავშირში	201	51

ბ) თურქეთში და ირანში	90	23
გ) უარი პასუხზე	104	26
6. თქვენი აზრით, რა უნდა გაკეთდეს საქართველოში იმისთვის, რომ ევროკავშირიდან მეტი ინვესტიცია შემოვიდეს?		
ა) მათ უნდა მივცეთ ინვესტირების სფეროს არჩევანი	115	29
ბ) რამოდენიმე წლის განმავლობაში (2-3 წელი) არ უნდა გადავახდევინოთ აქ მიღებულ მოგებაზე გადასახადი	77	19,5
გ) საჭირო ინფრასტრუქტურა უნდა დავახვედროთ ევროპის სტანდარტების	80	20
დ) უარი პასუხზე	123	31,5
7. თქვენი აზრით, რა უშლის ხელს საქართველოში ევროპიდან იმპორტირებული სასურსათო პროდუქციის სრულ ჩანაცვლებას ქართული წარმოების პროდუქციით?		
ა) ქართველი იმპორტიორები უშლიან	187	47,5
ბ) წარმოების მცირე მასშტაბის გამო, პროდუქციის წარმოება ძვირი ჯდება და ვერ იყიდება	75	19
გ) აქტიური სამუშაო ძალის გადართვა წარმოებიდან ვაჭრობაში, სარესტორნო ბიზნესში და სხვაგან	66	16,5
დ) ფინანსური რესურსის სიმცირე	67	17
8. ევროკავშირიდან ქართველი ემიგრანტების მიერ გადმოგზავნილ ფულად გზავნილებს საქართველოში დადებითად აფასებთ თუ უარყოფითად?		
ა) უარყოფითად	150	38
ბ) დადებითად	105	26,5
გ) უარი პასუხზე	140	35,5
9. როგორ აფასებთ იმ ფაქტს, რომ ევროკავშირის ქვეყნებიდან საქართველოში შემოსული ინვესტორი საქართველოში ქართულ ნედლეულით ამზადებს პროდუქციას და თავისუფალი ვაჭრობის რეჟიმით, ე. ი. დაუბეგრავად გააქვს ევროპაში და ჰყიდის იქ?		
ა) უარყოფითად	281	71
ბ) დადებითად	6	2
გ) უარი პასუხზე	108	27
10. ევროკავშირიდან საქართველოში ტურისტთა ნაკადები ყოველწელს იზრდება. როგორ ფიქრობთ, საქართველოსთვის ეს კარგია თუ ცუდი?		
ა) კარგი	183	46,5
ბ) ცუდი	27	7,0
გ) ნაწილობრივ ცუდი	185	46,5
11. როგორ ხედავთ საქართველო-ევროკავშირის სავაჭრო-ეკონომიკური ურთიერთობის მომავალს, იგი გაფართოვდება, თუ შეიკვეცება?		
ა) გაფართოვდება	92	23,5
ბ) შემცირდება	96	24
გ) ეს დამოკიდებულია საქართველოს მიერ ევროკავშირის წევრობის ჯანდაცვის სტატუსის მიღებაზე	207	52,5
12. რას ურჩევთ საქართველოს მთავრობას გააფართოვოს ევროკავშირთან სავაჭრო-ეკონომიკური ურთიერთობები თუ არა?		
ა) გააფართოვოს	103	26,5
ბ) შეინარჩუნოს დღევანდელი დონე	88	22
გ) გააფართოვოს ურთიერთობები რუსეთთან, თურქეთთან და მეზობელ აზიის ქვეყნებთან	204	51,5

წყარო: შედგენილია ავტორის მიერ

ურთიერთგანსხვავებულია და მოითხოვს მათთან შეხვედრების რამდენიმე რაუნდის ჩატარებას. რადგან ჩვენს მიერ შერჩეული ექსპერტები ყველანი საქართველოში, კერძოდ, ქ. თბილისში ცხოვრობენ და ჩვენს მიერ საკვლევად აღებულ თემაზე საქართველოს მთავრობის დავალებით, ხშირად ერთადაც კი უწევთ მუშაობა, ამდენად, ჩვენ მათგან საგანგაშოდ ურთიერთგანსხვავებული პასუხები არ მიგვიღია. შედეგად, ჩვენ ,მათგან გამჟღავნებული პირველივე პოზიცია ჩავთვალეთ გამოყენებისთვის

ცხრილი 3.

კვლევაში ჩართული ექსპერტების შეხედულებათა შემაჯამებელი შეფასება ევროკავშირთან საქართველოს სავაჭრო-ეკონომიკური თანამშრომლობის საკითხზე

დასმული კითხვები	**პირველი ექსპერტი**	**მეორე ექსპერტი**	**მესამე ექსპერტი**	**მეოთხე ექსპერტი**
1. არის თუ არა შემუშავებული ევროკავშირთან საგარეო ვაჭრობის სტრატეგია?				
	კი	კი	არა	კი
2. ამ სტრატეგიის შემუშავებაში მიიღეთ თუ არა მონაწილეობა?				
	არა	არა	არა	არა
3. 10 ქულიანი შეფასების პირობებში როგორ შეაფასებთ ევროკავშირთან საქართველოს საგარეო ვაჭრობის სტრატეგიას?				
	6	5	4	5
4. რა აზრის ბრძანდებით ევროკავშირიდან პირველი მოთხოვნილების საქონლის იმპორტის შესამცირებლად ქართულ წარმოებისთვის პროტექციონისტული პოლიტიკის გატარებაზე?				
	საერთაშორისო სტანდარტით აკრძალულია	შეზღუდული მასშტაბით დასაშვებია	საერთაშორისო სტანდარტით აკრძალულია	საერთაშორისო სტანდარტით აკრძალულია
5. თქვენი აზრით, რა გზით შეიძლება ევროკავშირთან უარყოფითი სავაჭრო ბალანსის გამოსწორება?				
	ექსპორტის ზრდით	ექსპორტის ზრდით	იმპორტის შემცირებით	ექსპორტის ზრდით
6. ევროკავშირიდან იმპორტის ბრუნვაში პირველი მოთხოვნილების საქონელის რა წილი მიგაჩნიათ საქართველოსთვის მისაღებად?				
	50%	55%	60%	50%-მდე
7. როგორ აფასებთ ქვეყნის შემოსავლების გაზრდის თვალსაზრისით ექსპორტ-ტურიზმს საქართველოსთვის?				
	დადებითად	დადებითად	დადებითად	დადებითად
8. ევროკავშირიდან საქართველოში ინვესტირების გაფართოების რა პერსპექტივებს ხედავთ მომავალში?				
	ერთობლივ საწარმოების დაფუძნებას	ჰიდრო-ენერგეტიკას	მევენახეობა-მეღვინეობას	მინერალური წყლის მოძიებას და მოპოვებას
9. როგორ აფასებთ საქართველოს მოსახლეობის ემიგრაციას ევროკავშირის ქვეყნებში იმ შემოსავლების ფონზე, რომელსაც ისინი საქართველოში გზავნიან?				
	მოკლევადიან პერიოდში დადებითად	არ აქვს პასუხი	არ აქვს პასუხი	დადებითად
10. აქვს თუ არა საქართველოს ახალი საექსპორტო პროდუქციის შექმნის პოტენციალი ევროკავშირის ქვეყნების დასაინტერესებლად და რომელია ისინი?				
	ტრაიდიციული სასოფლო-სამეურნეო პროდუქტები	ქართველ მეცნიერთა აღმოჩენა-გამოგონებები	მინერალური წყლები	ექსპორტ-ტურიზმი
11. თქვენი აზრით, ევროკავშირთან სავაჭრო ეკონომიკური ურთიერთობების გაფართოება გამოიყვანს საქართველოს კრიზისიდან?				
	არა	არა	არა	არა
12. ხომ არ ფიქრობთ მიაწოდოთ საქართველოს მთავრობას ევროკავშირთან ურთიერთობის რაიმე ინიციატივა, ან ახალი ფორმატი?				
	არ მიფიქრია	არ მიფიქრია	აზრი არ აქვს	არ მიფიქრია

წყარო: შედგენილია ავტორის მიერ



ნახაზი 1. ახალი საექსპორტო პროდუქციის (მომსახურების) შექმნის შესაძლებლობა საქართველოში

წყარო: შედგენილია ავტორის მიერ



ნახაზი 2. ევროპიდან ინვესტიციების გაზრდის შესაძლებლობები

წყარო: შედგენილია ავტორის მიერ



ნახაზი 3. ექსპერტების მიერ ევროკავშირთან საქართველოს სავაჭრო-ეკონომიკური ურთიერთობების ქულობრივი შეფასება

წყარო: შედგენილია ავტორის მიერ

დამაჯერებლად და წარმოვადგინეთ **ცხრილში 3** და **ნახაზი 1-3.**

მესამე ცხრილში მოცემული ინფორმაცია გვიჩვენებს, რომ მთელ რიგ საკითხებში კვლევაში ჩართული ექსპერტები ერთი აზრის არიან. მაგალითად, მეორე კითხვაზე - „იყვნენ თუ არა ისინი ჩართულნი საქართველოს საგარეო ვაჭრობის სტრატეგიის შემუშავებაში? - მათ ყველამ უარყოფითი პასუხი მოგვცა, მეხუთე კითხვაზე - „რა გზით შეიძლება ევროკავშირთან უარყოფითი სავაჭრო ბალანსის გამოსწორება“ - სამმა ექსპერტმა ექსპორტის ზრდა დაასახელა, მეოთხე კითხვაზე - „იმპორტის შესამცირებლად ხომ არ აჯობებს საქართველომ გამოიყენოს პროტექციონისტული პოლიტიკა?“ - სამმა ექსპერტმა საერთაშორისო სტანდარტებში მისი აკრძალვა დაასახელა, მეშვიდე კითხვის პასუხად ოთხივე ექსპერტმა ექსპორტ-ტურიზმს დადებითი შეფასება მისცა, ოთხივე ექსპერტმა უარყოფითი პასუხით დააფიქსირეს თავიანთი შეხედულება იმის შესახებ, რომ ევროკავშირთან სავაჭრო-ეკონომი-

კური ურთიერთობების გაფართოება ვერ გამოიყვანეს საქართველო კრიზისიდან და ა. შ.

ამ ერთმნიშვნელოვანი პასუხების გარდა ექსპერტებს ჰქონდათ ურთიერთგანსხვავებული პასუხებიც, რომლებმაც ჩვენ ძალზე დაგვაინტერესა. მაგალითად, მერვე კითხვის - „ევროკავშირიდან საქართველოში ინვესტირების გაფართოების რა პერსპეტივებს ხედავთ საქართველოს მომავალში? პირველმა ექსპერტმა გვიპასუხა, რომ მათ საქართველოში უნდა მივცეთ ერთობლივი საწარმოების გახსნის ფართო შესაძლებლობები, მეორე ექსპერტმა დაგვისახელა პრევენციები-ჰიდროელექტროენერგეტიკაში, მესამემ - მევენახეობა-მეღვინეობაში, მეოთხემ კი - მინერალური წყლის მოპოვებაში. როცა ჩვენ მათ გავაცანით მათგან ურთიერთდამოუკიდებლად მიღებული პასუხები, დაგვეთანხმდნენ, რომ ყველა ისინი მისაღებია და მათი სანდოობა ეჭვს არ იწვევს. იგივე მდგომარეობა აღმოჩნდა მეათე კითხვის - „აქვს თუ არა საქართველოს ახალი საექსპორტო პროდუქციის შექმნის პოტენციალი ევროკავშირის ქვეყნების დასაინტერესებლად და რომელია ისინი?“ - პასუხებში. ექსპერტებმა სხვადასხვა პროდუქცია (აგრეთვე, მომსახურება) დაასახელეს, თუმცა, გადამოწმებისას მოგვცეს მათი გაერთიანების უფლება, რადგან ყველა ისინი მისაღებია.

ჩვენში გარკვეული გაოცება გამოიწვია მეთორმეტე კითხვაზე ექსპერტების მიერ გაცემულმა პასუხმა. კითხვა ეხებოდა მათ მიერ საქართველოს მთავრობისთვის ევროკავშირთან სავაჭრო-ეკონომიკური ურთიერთობის საკითხში რაიმე ახალი ინიციატივის ან ახალი ფორმაციის შეთავაზებას. პასუხად მივიღეთ აბსოლუტური უარყოფა (არ მიფიქრია და აზრი არა აქვს). რადგან, ოთხივე ექსპერტმა ასეთი პასუხი გაგვცა, ეს იმას ნიშნავს, რომ დარგის სპეციალისტებში ნიჰილიზმი დაწყებულა, რაც ჩვენი მცირერიცხოვანი ერისთვის კიდევ უფრო შემაშფოთებელია, ვიდრე რომელიმე ქვეყანასთან, თუნდაც ევროკავშირთან, ვაჭრობაში (ან სხვა რომელიმე დარგში) ურთიერთობის განვითარება ან არ განვითარება.

დასკვნა

საქართველო-ევროკავშირის სავაჭრო-ეკონომიკურ ურთიერთობაზე კვლევაში ჩართულ ფოკუს-ჯგუფებმა ურთიერთგანსხვავებული პასუხები მოგვცეს. მენეჯერების 70% საქართველოს საექსპორტო პოლიტიკით კმაყოფილია, თუმცა, მოითხოვს საექსპორტო ნაკადებში აბორიგენული ქართული ჯიშების ხილ-ბისტნეულის ჩართვას. გამოკითხული მოსახლეობის 61% არ მოსწონს ევროკავშირთან იმპორტის პოლიტიკა, რადგან, იქიდან შემოდის გენმოდიფიცირებული პროდუქტი, კვლევაში ჩართული ექსპერტებიც ეთანხმებიან კომპანიათა მენეჯერებს იმაში, რომ საქართველომ აგროსასურსათო პროდუქციის საექსპორტო ნაკადები უნდა გააფართოვის ტრადიციული ქართული აგროპროდუქტებით. მთლიანობაში ექსპერტებმა საქართველო-ევროკავშირითან სავაჭრო-ეკონომიკური პოლიტიკა 10 ქულიანი შკალიდან 5 ქულაზე შეაფასეს.

რესპოდენტებს ჩვენ ვეთანხმებით იმაში, რომ საქართველოდან ევროკავშირში ექსპორტის გასაზრდელად საჭიროა ახალი საქონლის გამოძებნა და მისი საექსპორტო ნაკადებში ჩართვა. რაც შეეხება იმპორტს, ჩვენ კურსი უნდა ავიღოთ ტექნიკა-ტექნოლოგიების იმპორტზე, იმპორტირებული სასურსათო საქონელი კი უნდა ჩავანაცვლოთ ადგილობრივი წარმოებით.

ზემოთნათქვამიდან ის შემაჯამებელი დასკვნა კეთდება, რომ ევროკავშირთან საქართველოს სავაჭრო-ეკონომიკურ ურთიერთობებში გარკვეული ხარვეზები შეიმჩნევა. საქართველოს მხარემ დროულად უნდა იზრუნოს ამ ხარვეზების გამოსწორებაზე.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. **ბაღათურია გ., თუთბერიძე გ.** და სხვები, ბიზნესკვლევის მეთოდები. თბ., ევროპის უნივერსიტეტი. 2000. გვ. 170.